სახალხო დამცველის შემოწმების შედეგები სააპელაციო სასამართლოს მიერ ნიკა გვარამიას მიმართ გამოტანილი განაჩენის თაობაზე

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ ნიკა გვარამია თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით,[1] ბრალდებების ნაწილში გამართლდა, ხოლო დამნაშავედ იქნა ცნობილი სსკ-ის 220-ე მუხლის[2] ორ ეპიზოდში და სასჯელის სახედ განესაზღვრა:

- 2015 წლის ე.წ. რეკლამების[3] ეპიზოდი - ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის მართვისას რეკლამის გაყიდვასთან დაკავშირებული ხელშეკრულების პირობების შეცვლის შედეგად კომპანიის მიერ უფრო მეტი შემოსავლის მიუღებლობის გამო, რისთვისაც განესაზღვრა ჯარიმა 50 000 ლარის ოდენობით;
- 2019 წლის ე.წ. მანქანის ეპიზოდი - ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის" სარეკლამო ეთერის გაყიდვისთვის, საბაზრო ფასზე ნაკლებ ოდენობად, 3 თვის განმავლობაში, პირადი დაინტერესების გამო, რომ სანაცვლოდ რეკლამის განმთავსებელი კომპანიისგან მის მეუღლეს მფლობელობაში მიეღო ავტომანქანა. ხსენებული ქმედებისთვის განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის და 6 თვის ვადით.

ე.წ. რეკლამების ეპიზოდთან დაკავშირებით ჯერ კიდევ 2019 წელს საქართველოს სახალხო დამცველმა სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით[4] თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა, სადაც შესაბამისი ეროვნული და საერთაშორისო ნორმების დეტალური მიმოხილვის შედეგად, აღნიშნა, რომ მსგავსი სამეწარმეო გადაწყვეტილება ვერ გამოიწვევს არათუ სისხლისსამართლებრივ, არამედ კორპორატიულ პასუხისმგებლობასაც კი. დირექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შესაძლებელია, ნაკლები მოგების მიღებას გულისხმობდეს, მაგრამ კორპორაციის საუკეთესო ინტერესებს და მოკლე ან გრძელვადიანი რისკების დაზღვევას ემსახურებოდეს.

რაც შეეხება, ე.წ. მანქანის ეპიზოდს, სახალხო დამცველმა 2022 წლის 8 ივნისს გამოაქვეყნა საქმის შემოწმების შედეგები და მიუთითა, რომ ერთი მხრივ საკორპორაციო-სამართლებრივი შინაარსით მსგავსია ე.წ. რეკლამების ეპიზოდის, რომელშიც არ იკვეთებოდა სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ნიშნები, ხოლო მეორე მხრივ - ე.წ. მანქანის ეპიზოდში რჩებოდა საკვანძო ფაქტობრივი გარემოებები სათანადო დასაბუთებული შეფასების გარეშე.[5]

---

[1] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 16 მაისის განაჩენით, ნიკა გვარამია გამართლდა სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით, 221-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ბრალდებებში.

[2] საწარმოში ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილების გამოყენება ამ ორგანიზაციის კანონიერი ინტერესის საწინააღმდეგოდ, თავისთვის ან სხვისთვის გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, –

[3] სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" და „დ" და მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ბრალდება გადაკვალიფიცირდა.

[4] საქართველოს სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის მოსაზრება 04.11.2019 წ. N15-11/11857 იხ. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019110416234655074.pdf> ბოლოს ნანახია: 22.11.2022 წ.

[5] იხ. < https://www.ombudsman.ge/res/docs/2022060723090639604.pdf >

გარდა ამისა, სახალხო დამცველმა მიუთითა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით გათვალისწინებული სასჯელიც იყო დაუსაბუთებელი და ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიცია იყო წარმოდგენილი ერთ ნაწილში ჯარიმის გამოყენებისა და მეორე ნაწილში თავისუფლების აღკვეთის გამოყენების კონტექსტში.

მართლმსაჯულების არსებითი ხარვეზებით განხორციელების გამო, სახალხო დამცველმა საქართველოს პრეზიდენტს შეწყალების უფლებამოსილების გამოყენების მიზნით მიმართა.[6]

ამჟამად, სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი და სახალხო დამცველი წარმოადგენს შემოწმების შედეგებს მოცემულ განაჩენთან დაკავშირებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენით, პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი შეიცვალა მხოლოდ სასჯელის ნაწილში და სსკ-ის 220-ე მუხლით (2015 წლის ე. წ. რეკლამების ეპიზოდი) ჯარიმის ნაცვლად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის და 6 თვის ვადით. მიუხედავად იმისა, რომ სასჯელთა შთანთქმის პრინციპის გამოყენების შედეგად არ შეცვლილა რეალურად მოსახდელი სასჯელი, აღნიშნული სამართლებრივად წარმოადგენს სასჯელის დამძიმებას.

სააპელაციო სასამართლო ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ნაწილში იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის დებულებებს; ასევე, კორპორატიული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამიჯვნის სირთულეებზე საუბარი უსაფუძვლოდ მიიჩნია ორივე ეპიზოდში სისხლის სამართლის ელემენტების: განზრახვისა და პირადი მოტივის - კომპანიის საუკეთესო ინტერესების დაზიანების მიზნის დადგენაზე მითითებით. თუმცა, რა კონკრეტული მტკიცებულებებით მივიდა სასამართლო აღნიშნულ დასკვნამდე, განმარტებული არ არის. სასამართლო ფინანსური მონაცემების უფრო დეტალური ასახვით ცდილობს დანაშაულებრივი ქმედების არსებობის დადასტურებას. რაც, ცხადია, იმთავითვე არ გულისხმობს სსკ-ის 220-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის ელემენტების არსებობას კომპანიის მენეჯერის გადაწყვეტილებებში.

სასამართლოს განმარტებით, რომ არა რეალური განზრახვა „რუსთავი 2“-ის ახალი მფლობელისთვის დაეხევდრებინათ ფინანსურად დაზიანებული კომპანია, საბოლოო ჯამში, კომპანია დამატებით მიიღებდა რამდენიმე მილიონი ლარით მეტ შემოსავალს. ამიტომ ჩათვალა, რომ გაცხადებული კრიზის მენეჯმენტი რეალურად არ ემსახურებოდა „რუსთავი 2“-ის რისკების დაზღვევას.

მოცემულ დასკვნასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ შეუძლებელია კომპანიის დირექტორს 2015 წელს წინასწარ განეჭვრიტა საერთო სასამართლოების (მოგვიანებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს) გადაწყვეტილებების შინაარსი „რუსთავი 2“-ის მესაკუთრის შეცვლასთან დაკავშირებით. შესაბამისად, განზრახვის დადასტურება,

[6] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 8 ივნისის N 15-11/5908 წერილი.

მომავალში ვითარების სავარაუდო შეცვლის წინასწარ ცოდნის შეუძლებლობის გამო, გამამტყუნებელი განაჩენის დასაბუთებულების სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს.

სააპელაციო სასამართლო, ე.წ. მანქანის ეპიზოდთან დაკავშირებით, მიუთითებს ნიკა გვარამიას ინტერესზე ავტომანქანის „რუსთავი 2“-ის ეთერში სარეკლამო რგოლების განთავსების ღირებულების სანაცვლოდ მიღების თაობაზე და მიიჩნევს, რომ შპს „თეგეტა მოტორსისთვის“ დაბალი ფასის შეთავაზება, შეთანხმებაში არსებულ თანხაზე ბევრად ნაკლები თანხის მიღება, უტყუარად ადასტურებს მის განზრახვას ავტომანქანას დაუფლებოდა „რუსთავი 2“-ის ფინანსური დაზიანების გზით. დაცვის მხარის საპასუხოდ, სასამართლო აღნიშნავს, რომ მართალია ნიკა გვარამიას პრემიის მიღება შეეძლო და ხსენებულ პერიოდში მიღებული ჰქონდა კიდეც, თუმცა, დამატებით მანქანის შესაძენად პრემიის მიღება გამოიწვევდა სალაროს ხარჯების შემცირებას, ხოლო განხორციელებული ქმედება (კომპანიის სარეკლამო ბადის ხარჯზე) არ გამოიწვევდა კითხვებს თანამშრომლებში.

საგულისხმოა, რომ სასამართლოც აღიარებს კერძო კომპანიის დირექტორის მიერ პრემიის სახით მანქანის მიღების შესაძლებლობას. მითუმეტეს, კერძო სამართლის იურდიულ პირებში დასაქმებული პირების, მათ შორის, დირექტორის, ხელფასი/პრემია/დანამატების გაცემის საკითხი მნიშვნელოვნად განსხვავდება საჯარო სამსახურში კანონის პირდაპირი და იმპერატიული, შემზღუდველი რეგულაციისგან. შესაბამისად, ამ მიმართულებით კვლავ ბუნდოვანი რჩება, თუ რატომ შეიძლება გადაეწყვიტა დირექტორს, პრემიის სახით მანქანის გამოწერის ნაცვლად, მრავალმხრივი კონტრაქტების დადებით ამ მანქანის დანაშაულებრივად მოპოვება ეცადა. გარდა ამისა, სასამართლო მიუთითებს, რომ მანქანის დაბრუნება „ფრესკო მედიასთვის“ გამოძიების მიერ დოკუმენტაციის ამოღების შემდეგ მოხდა. შესაბამისად, ნიკა გვარამიას ან მის მეუღლეს საკუთრებაში არ მიუღია ხსენებული ავტომანქანა. ამდენად, სასამართლოს განაჩენი მიუხედავად ფინანსური გაანგარიშების მონაცემების ვრცლად წარმოდგენისა, დამნაშავედ ცნობის თვალსაზრისით დასაბუთებულად ვერ ჩაითვლება.

შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის მოსაზრებასა და დასკვნაში მითითებულ პრობლემურ და მსჯავრდებისთვის საკვანძო საკითხებს სააპელაციო სასამართლოს განაჩენში დასაბუთებული პასუხი კვლავ ვერ გაეცა.

კონვენციის მე-18 მუხლით გათვალისწინებული მდგენელი

ნიკა გვარამიას მსჯავრდება მენეჯერული გადაწყვეტილების მიღებისთვის და სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენება შინაარსობრივად სამოქალაქო სამართლებრივი ქმედების გამო, ეწინააღმდეგება კანონიერების პრინციპს.

გარდა ამისა, დაცვის მხარე სააპელაციო საჩივარში დავობდა ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის მე-18 მუხლის (პოლიტიკური ან სხვა ქვენა მოტივით ადამიანის უფლებების შეზღუდვა) საკითხზეც.

სააპელაციო სასამართლომ (დაცვის მხარის პოზიციის საპასუხოდ) მიუთითა, რომ განაჩენის გამოტანა არ არის დაკავშირებული ხელისუფლების პოლიტიკურ მოტივთან, სისხლისსამართლებრივი უმართლობის ჩადენა დადასტურებულია კანონის შესაბამისად მოპოვებული მტკიცებულებების ერთობლიობით და სამართლიანი სასამართლოს განხილვის შედეგია; ასევე, გამორიცხა ოპოზიციური მედია საშუალება „მთავარი არხის" სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევის, მედია მენეჯერ ნიკა გვარამის განეიტრალების, მისი საზოგადოებრივი და პოლიტიკური საქმიანობიდან ჩამოშორების მიზანი. სასამართლომ აღნიშნული ახსნა იმ გარემოებით, რომ გამოძიების ინიციატორი სამართალდამცავი ორგანოები, თანამდებობის პირები და პოლიტიკოსების განცხადებები კი არა, „რუსთავი 2-ის" წილის მფლობელის 2019 წლის 17 ივლისის განცხადება გახდა (რასაც მოქმედი მენეჯმენტის განცხადებაც დაემატა), ბრალდება არ გამომდინარეობდა პოლიტიკური ან/და ჟურნალისტური საქმიანობიდან და 3 პირს წარედგინა სავარაუდო ფინანსური დანაშაულის ჩადენისთვის, ნიკა გვარამია არ დაუკავებიათ და აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იქნა გირაო (არა პატიმრობა), 2019 წლის ივლის-აგვისტოდან 2022 წლის 16 მაისამდე (განაჩენის გამოტანა) ადგილი არ ჰქონია მისი საზოგადოებისგან იზოლაციის მცდელობასაც კი. სასამართლოს პოზიციით, დაცვის მხარემ ვერ წარადგინა არა მხოლოდ პოლიტიკური დევნის დასადასტურებლად (მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციო საჩივარი არაერთ საჯაროდ ხელმისაწვდომ ინფორმაციას მოიცავდა), არამედ მსჯელობა ან არგუმენტი, ბრალდების მხარის მტკიცებულებების კანონსაწინააღმდეგო ხერხებით ან საშუალებებით მოპოვების დასადასტურებლად.

გამოძიების დაწყების წინმსწრები გარემოებების, კორპორატიული სამართლის ფარგლებში განსახილველი ქმედების გამო ტელეკომპანიის დირექტორის მსჯავრდების, თავისუფლების აღკვეთის გამოყენების, ქვეყანაში არსებული მედია გარემოს, პოლიტიკური თანამდებობის პირების განცხადებების შინაარსის გათვალისწინებით, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას უკანონო - პოლიტიკური ან სხვა ქვენა მოტივით.

ნიკა გვარამის მსჯავრდება და მისთვის შეფარდებული თავისუფლების აღკვეთა ევროპული სასამართლოს მიერ მე-18 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით დანერგილი ტესტის მიხედვით, უნდა შეფასდეს:

- ხომ არ არსებობს საქმეში პოლიტიკური ან სხვა უკანონო ქვენა მოტივი, რომლითაც ხელისუფლებამ იხელმძღვანელა. ამასთან, ეს არ გულისხმობს, რომ პოლიტიკური მოტივი აუცილებლად ერთადერთი უნდა იყოს და საქმეში არ უნდა არსებობდეს ლეგიტიმური სამართლებრივი საფუძვლები. იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა სხვადასხვა შესაძლო მოტივები, სასამართლო აფასებს, თუ რომელი - ლეგიტიმური თუ არალეგიტიმური - მოტივი იყო გადამწყვეტი კონკრეტული ქმედების განხორციელებისას;[7]

[7] Merabishvili v. Georgia [GC], 72508/13, 2017, § 309.

- გადაძალავს თუ არა პოლიტიკური ან სხვა უკანონო მოტივი შესაძლო კანონიერ მოტივს. ამ კუთხით აუცილებელია იმის დადგენა, რომ პოლიტიკური მდგენელი იყო ხელისუფლების ქმედებების მთავარი განმაპირობებელი მოტივი.[8] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარდა პოლიტიკურისა, ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლო კრძალავს ნებისმიერი, კონვენციით არგათვალისწინებული საფუძვლით პირის დაკავებას ან დაპატიმრებას.[9] მსგავსი ქვენა მოტივი შეიძლება იყოს, მაგალითად, პირისგან არადაკავშირებულ საქმეზე ინფორმაციის მოპოვება,[10] პირის საქმიანობისთვის ხელშეშლა,[11] ეკონომიკური ინტერესები[12] და სხვა.

პოლიტიკური მოტივის არსებობა

შესაძლო პოლიტიკური მოტივის დასადგენად, ევროპული სასამართლო განიხილავს მტკიცებულებათა ფართო სპექტრს. ევროპული სასამართლოს პრაქტიკა სრულ თავისუფლებას იძლევა იმ მიმართულებით, რომ პოლიტიკური (ან სხვა ქვენა მიზნის ამსახველი) მდგენელის, ასევე მისი უპირატესობის დადგენა დაეყრდნოს ნებისმიერ რელევანტურ გარემოებას, პირდაპირ და ირიბ მტკიცებულებებს - იქნება ეს საკანონმდებლო რეფორმები, რომელიც კონკრეტულ პირთა წინააღმდეგაა მიმართული და მათი პრაქტიკული გამოყენების შერჩევითობა,[13] თუ უფლებადაცვითი ორგანიზაციების მიერ მიწოდებული ინფორმაციები ქვეყანაში არსებულ სამართლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით.[14] ირიბი მტკიცებულება გულისხმობს ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც მიემართება მთავარ ფაქტებს და მიანიშნებს ერთიანი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობაზე,[15] მაგალითად: ფართო პოლიტიკური კონტექსტი, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობდა სამართალწარმოება;[16] პროკურატურისა ან სასამართლო მოხელეთა მიერ სავარაუდო ქვენა (ulterior) მოტივით მოქმედების მიმანიშნებელი მტკიცებულებები;[17] მტკიცებულება იმის შესახებ, რომ სასამართლოები საკმარისად დამოუკიდებელი არ არიან აღმასრულებელი ხელისუფლებისგან;[18] საერთაშორისო დამკვირვებლების, არასამთავრობო ორგანიზაციების,

---

[8] იქვე, § 292.
[9] იქვე, § 288.
[10] იხ: Gusinskiy v. Russia, 70276/01, 2004, §76; Cebotari v. Moldova, 35615/06, 2007, §53; Merabishvili v. Georgia [GC], 72508/13, 2017, §353; Dochnal v. Poland, 31622/07, 2012, §116.
[11] იხ: Ilgar Mammadov v. Azerbaijan, 15172/13, 2019, §143; Rasul Jafarov v. Azerbaijan, 69981/14, 2016, §162; Mammadli v. Azerbaijan, 47145/14, 2018, §104; Rashad Hasanov and Others v. Azerbaijan, 7268/10, 2019, §125.
[12] OAO Neftyanaya Kompaniya Yukos v. Russia, 14902/04, 2011, §665; Khodorkovskiy and Lebedev v. Russia, 11082/06 13772/05, 2013, §889.
[13] Navalnyy v. Russia 29580/12, 36847/12, 11252/13, 12317/13 and 43746/14, para. 172.
[14] Merabishvili v. Georgia [GC], 72508/13, para 317; Baka v. Hungary [GC], 20261/12, para. 143.
[15] Ilgar Mammadov v. Azerbaijan, § 142; Rasul Jafarov v. Azerbaijan, § 158.
[16] Merabishvili v. Georgia [GC], § 322; Khodorkovskiy v. Russia, § 257; Khodorkovskiy and Lebedev v. Russia, § 901; Nastase v. Romania (dec.), § 107.
[17] Merabishvili v. Georgia [GC], § 323.
[18] Merabishvili v. Georgia [GC], § 324.

სხვა პირთა (თუნდაც სხვა სახელმწიფოთა სასამართლოების) დასკვნები;[19] სასამართლო პროცესების მიმდინარეობის სამართლიანობა;[20] მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებულობა.[21] მაგალითისთვის, აზერბაიჯანის წინააღმდეგ საქმეებში სასამართლომ ყურადღება მიაქცია აშკარა კორელაციას აპლიკანტის ბლოგის ჩანაწერებსა და ხელისუფლების მიერ მის წინააღმდეგ გაკეთებულ განცხადებებს, შემდგომში კი - დაპატიმრებას - შორის.[22] სხვა საქმეებში სასამართლომ ასევე გაითვალისწინა ის კონტექსტი, როდესაც სახელმწიფო თანამდებობის პირები უცხოეთიდან დაფინანსებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს მოღალატეებად აცხადებდნენ, შემდეგ კი აქტივისტების წინააღმდეგ იწყებდნენ დევნას, მათ შორის, სპეციფიკურად ამ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოყოფილ გრანტებთან დაკავშირებით.[23] სახელმწიფო თანამდებობის მქონე პირთა განცხადებები მხოლოდ და მხოლოდ მაშინ არის ქვენა მოტივის გამოვლენისთვის რელევანტური, თუკი სასამართლო ხელისუფლება აღმასრულებლისგან საკმარისად არ არის დამოუკიდებელი.[24]

ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, პოლიტიკური მოტივის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მტკიცებულება გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის გარემოებებია.[25]

შესაბამისად, წინამდებარე საქმეში პოლიტიკური მოტივის დასადგენად სახალხო დამცველი შეაფასებს მსჯავრდების რამდენიმე საკვანძო გარემოებას, როგორიცაა - სისხლისსამართლებრივი დევნის წინმსწრები გარემოებები, ქვეყანაში არსებული მედია გარემო მსჯავრდების ხასიათი და შინაარსი და ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების სავარაუდო დაინტერესება.

- **ვითარება გამოძიების დაწყებამდე**

2003-2009 წწ.-ში ნიკა გვარამია, პოლიტიკური პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების პერიოდში იყო მაღალ სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობებზე (საქართველოს პარლამენტის წევრი, გენერალური პროკურორის მოადგილე, იუსტიციის მინისტრი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი)[26], ხოლო ხელისუფლების შეცვლის შემდეგ და პარტიის „ქართული ოცნება“ მმართველობისას, 2012 წლის ნოემბრიდან - ტელეკომპანიის „რუსთავი 2“-ის დირექტორი (2014 წლიდან - გენერალური დირექტორი). მოკლე პერიოდში ნიკა გვარამია დააკავეს,[27] შემდეგ გირაო შეეფარდა, ხოლო საბოლოოდ 2013

[19] Baka v. Hungary [GC], § 148; Merabishvili v. Georgia [GC], § 317; Mammadli v. Azerbaijan, § 95; Rashad Hasanov and Others v. Azerbaijan, § 118.
[20] Merabishvili v. Georgia [GC], § 325.
[21] Nastase v. Romania (dec.), § 107.
[22] Ilgar Mammadov v. Azerbaijan, 141-143.
[23] Rasul Jafarov v. Azerbaijan §§ 156-162; Mammadli v. Azerbaijan §§ 98-104.
[24] Tchankotadze v. Georgia, § 114.
[25] Merabishvili v. Georgia [GC], 72508/13, para. 333; El-Masri v. The Former Yugoslav Republic of Macedonia, 39630/09, para. 151.
[26] იხ. <http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00004596/ > ბოლოს ნანახია: 01.12.2022
[27] იხ. 19.12.2012 წ. <https://tabula.ge/ge/news/550799-nika-gvaramia-aleko-khetaguri-krtamis-aghebis > ბოლოს ნანახია: 01.12.2022 წ.

წელს გამართლდა.[28] 2014 წელს ნიკა გვარამიას სამუშაო ოთახში სავარაუდო ფარული თვალთვალის შესახებ ინფორმაცია და ჩანაწერები გავრცელდა,[29] რაზეც გამოძიებაც დაიწყო.[30] 2015 წელს „რუსთავის 2"-ის ყოფილმა მფლობელმა ქიბარ ხალვაშმა სარჩელით კომპანიის წილის დაბრუნება მოითხოვა, სასამართლომ კომპანიის წილი დააყადაღა და ნიკა გვარამიას უფლებამოსილების განხორციელება შეუზღუდა ტელეკომპანიის სარედაქციო პოლიტიკაზე მითითებით.[31] აღნიშნული სახალხო დამცველმა სასამართლო ხელისუფლების მხრიდან სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევად შეაფასა და ყოვლად დაუშვებლად მიიჩნია.[32] 2017 წელს საქართველოს საერთო სასამართლოებმა „რუსთავი 2" ქიბარ ხალვაშს მიაკუთვნა.[33] ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დროებითი ღონისძიების სახით გადაწყვეტილების აღსრულება შეაჩერა.[34] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2019 წლის 18 ივლისს გადაწყვეტილებით[35] სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა „რუსთავი 2"-ის საქმეში, რის შემდეგ ნიკა გვარამია გათავისუფლდა დირექტორის თანამდებობიდან.[36]

- **გამოძიების დაწყება და ახალი ტელეკომპანიის მაუწყებლობა**

2019 წლის 20 ივლისს გამოძიება დაიწყო „რუსთავი 2"-ის 9% წილის მფლობელის ნინო ნიჟარაძის ადვოკატის 2019 წლის 17 ივლისის განცხადების საფუძველზე.[37] 2019 წლის 26 ივლისს ნიკა გვარამიამ ახალი ტელევიზიის შექმნის შესახებ განაცხადა,[38] რასაც 2019 წლის 9 აგვისტოს მისი ბრალდება[39] მოჰყვა. **საგულისხმოა, რომ „რუსთავი 2"-ის 9%-იანი წილის მესაკუთრის განცხადების საფუძველზე გამოძიების დაწყებიდან 20 დღეში ნიკა გვარამის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო იმ ფონზე, როცა იმავე კომპანიის დამფუძნებლების: დავით დვალისა და ჯარჯი აქიმიძის ქონებრივი უფლების იძულებით გადაცემის სავარაუდო ფაქტზე გამოძიება 2012 წლიდან უშედეგოდ მიმდინარეობდა.[40]**

---

[28] იხ. 14.11.2013 წ. <https://www.radiotavisupleba.ge/a/25168417.html > ბოლოს ნანახია: 01.12.2022 წ.
[29] იხ. 06.05.2014 წ. <https://old.civil.ge/geo/article.php?id=28151 > ბოლოს ნანახია: 01.12.2022 წ.
[30] იხ. 09.05.2014 წ. https://pog.gov.ge/news/prokuratura-rusTavi-2-is-saqmeze-shualedur-shedegebs-aqveynebs-bedd686d ბოლოს ნანახია: 01.12.2022 წ.
[31] იხ. 08.08.2015 წ. <https://old.civil.ge/geo/article.php?id=29605 > ბოლოს ნანახია: 01.12.2022 წ. 06.11.2015 წ. https://netgazeti.ge/news/73039/ ბოლოს ნანახია: 01.12.2022 წ. 06.11.2015 წ. https://netgazeti.ge/news/73072/ ბოლოს ნანახია: 01.12.2022 წ.
[32] იხ. 06.11.2015 წ. < https://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/saxalxo-damcvelis-sagangebo-gancxadeba-telekompania-rustavi-2shi-droebiti-mmartvelebis-danishvnastan-dakavshirebit > ბოლოს ნანახია: 05.12.2022 წ.
[33] იხ. <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/other/gadawyvetileba-+news.PDF> ბოლოს ნანახია: 01.12.2022 წ.
[34] იხ. 07.03.2017 წ. <https://netgazeti.ge/news/178424/> ბოლოს ნანახია: 01.12.2022 წ.
[35] იხ. 18.07.2019 წ. <https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22fulltext%22:[%22rusTavi%202%22],%22itemid%22:[%22001-194445%22]} ბოლოს ნანახია: 01.12.2022 წ.
[36] იხ. 18.07.2019 წ. <https://netgazeti.ge/news/381589/ > ბოლოს ნანახია: 01.12.2022 წ.
[37] იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 2 ნოემბრის განაჩენი გვ. 184
[38] იხ. 26.07.2019 წ. <https://tabula.ge/ge/news/628444-gvaramia-male-kveqnis-mtavar-televizias-gavaketeb. ბოლოს ნანახია: 01.12.2022 წ.
[39] იხ. 09.08.2019 წ.< https://pog.gov.ge/news/brifingi-saqarTvelos-generalur-prokuraturashi-1-1-1> ბოლოს ნანახია: 01.12.2022 წ.
[40] იხ. <18.06.2019 წ. https://pog.gov.ge/news/-rusTavi-2-is-damfuZneblebis-qonebrivi-uflebis-iZulebiT-gadacemis-saqmeze-gamoZieba-grZeldeba-da-a-82cbcce2> ბოლოს ნანახია: 01.12.2022 წ.

აღნიშნული გარემოებები ხელისუფლების მხრიდან ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის მიმართ ინტერესის სავარაუდო გამოვლინებად შეიძლება მივიჩნიოთ. ტელეკომპანია „მთავარი არხი“ მაუწყებლობას იწყებს 2019 წლის 9 სექტემბრიდან[41] და ერთ-ერთ რეიტინგულ კრიტიკულ არხს წარმოადგენს, რასაც ადვოკატის მტკიცებით, სარეკლამო შემოსავლების ზრდაც ადასტურებს.[42]

აღნიშნული გარემოებები განხილული და შეფასებული უნდა იქნეს იმ ფონზე, რომ ნიკა გვარამიას მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა და სასჯელის ყველაზე მკაცრი სახის - თავისუფლების აღკვეთის გამოყენება საქმის უმნიშვნელოვანეს და გადამწყვეტ კითხვაზე (საწარმოს მენეჯერის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა კორპორატიული სამართლის სფეროში მოქცეული მენეჯერული გადაწყვეტილების გამო) დასაბუთებული პასუხის არარსებობის მიუხედავად მოხდა.

- **ხელისუფლებისა და მმართველი პარტიის წარმომადგენლების საჯარო განცხადებები:**[43]

ხელისუფლების თანამდებობის პირებისა და მმართველი პარტიის ხელმძღვანელების განცხადებები „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ ქიბარ ხალვაშის მიერ სამოქალაქო დავის დაწყებამდე და სამოქალაქო საქმისწარმოების პერიოდში, ასევე, ტელეკომპანია „მთავარი არხი“-ს მაუწყებლობის დაწყებიდან მოცემულ დრომდე, ნიკა გვარამიას წინააღმდეგ როგორც გამოძიების, ასევე, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემდეგ ცალსახად ადასტურებს ტელეკომპანიის მაუწყებლობის შინაარსთან და საქმიანობასთან დაკავშირებით ინტერესს, მისი დამფუძნებლის, დირექტორისა და ტელეწამყვანის მიმართ პოლიტიკური მოტივის არსებობას:

მმართველი პარტიის - „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი ბიძინა ივანიშვილი: „გვინდა, შევცვალოთ დღის წესრიგი, რომელსაც დღეს „რუსთავი 2“ ადგენს *“[44]; „დღეს რომ გამორთო რუსთავი 2“ აღმავლობისა და აღმშენებლობის მეტს ვერაფერს ნახავთ".[45] „მცდელობას არ დავაკლებთ, რომ „რუსთავი 2”-ში განსხვავებული აზრი შევიდეს.“[46] „რუსთავი 2“-დან ისმის სწორედ დაუსაბუთებელი და არგუმენტებს მოკლებული ფაქტების გამჟღავნება. კარგი იქნებოდა, „რუსთავი 2“-ის მაგივრად, ნაციონალური მოძრაობა მეხსენებინა ხშირად. ენმ-ის მიერ არის აწყობილი, ენმ არის ამ ყველაფრის სათავეში.“[47]. „არ არის პრობლემა, რუსთავი 2-მა*

---

[41] იხ. <https://mtavari.tv/about> ბოლოს ნანახია: 01.12.2022 წ.

[42] იხ. ადვოკატის სააპელაციო საჩივარი <https://www.comcom.ge/ge/yvela-siaxle/televiziebis-sareklamo-shemosavlebi-2022-wlis-pirvel-kvartalshi-113-it-gaizarda.page >

[43] საგულისხმოა, რომ საჯარო განცხადებები მითითებულია დაცვის მხარის სააპელაციო საჩივარში, რაც შესწავლილი იქნა აპარატის მიერ და მათი ნაწილი მოცემულია წინამდებარე დოკუმენტში.

[44] იხ. 16.02.2015 წ. <https://tabula.ge/ge/news/571775-ivanishvili-gvinda-shevtsvalot-dghis-cesrigi> ბოლოს ნანახია: 01.12.2022 წ.

[45] იხ. 23.10.2018 წ. <https://netgazeti.ge/news/313653/ > ბოლოს ნანახია: 01.12.2022 წ.

[46] იხ. 24.10.2018წ. https://netgazeti.ge/news/313688/ ბოლოს ნანახია: 01.12.2022 წ.

[47] იხ. 24.10.2015 წ.< https://tabula.ge/ge/news/579573-ivanishvili-kargi-ikneboda-rustavi-2-natsvlad-enm > ბოლოს ნანახია: 01.12.2022 წ.

რომ განაცხადოს და საზოგადოებამ უკვე იცის, რომ ეს არის პოლიტიკური პარტიის ტელევიზია, არანაირი პრობლემა არ არსებობს, ოღონდ სიცრუეს თავი დაანებოს. ოღონდაც შეგნებულად ნუ აკეთებს დისკრედიტაციას იმ ხელისუფლების, რომელიც მისსავე ქვეყანას ემსახურება და სიცრუეზე დაფუძნებული ნუ იქნება."[48]

მმართველი პარტიის თავმჯდომარე და საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი ირაკლი კობახიძე: *„ნიკა გვარამია არის ის ადამიანი, რომელიც კონკრეტულად ფუთავდა 7 ნოემბრის საქმეს და კონკრეტულად ფუთავდა გირგვლიანის მკვლელობას მაშინდელი ხელისუფლებისთვის. ეს არის „ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი უბინძურესი ლიდერი, რომელიც პირდაპირ პასუხისმგებელია „ნაციონალური მოძრაობის" მიერ ჩადენილ სისხლიან დანაშაულებზე. ეს ადამიანი, „ნაციონალური მოძრაობის" სხვა წარმომადგენლები, „რუსთავი 2" პირდაპირ ჩანს, როგორც „ნაციონალური მოძრაობის" პიარ მანქანა."*[49] *„ეს წინასაარჩევნო პერიოდია, ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ეს ტელევიზიები [ფორმულა, ტვ პირველი, მთავარი არხი] არიან პარტიულები, მათ აქვთ პარტიული ამოცანები ისინი მთლიანად არიან აგებული სიცრუის გავრცელებაზე, დეზინფორმაციაზე, ეს იყო თქვენი ბოლშევიკი გენპროკურორი დირექტორის გეგმა, რასაც ნათელი მოეფინება ბუნებრივია სათანადო დროს. ეს იყო გარყვნილი ნიკა გვარამიას, ... და ა.შ. გეგმა. ამ გარყვნილი ადამიანების გეგმა";*[50] ***„გადაეცით თქვენს გენპროკურორს, ნიკა გვარამიას, წავიდეს ქართული მედიიდან და ქართული პოლიტიკიდან."***[51] *„„ჭუტა", ნოდარი და გვარამია არ არის მედია. გუშინდელი მიტინგის ორგანიზატორები არიან რადიკალური, ანტიქრისტიანული დაჯგუფებების ლიდერები";*[52] *„2012 წლიდან მოყოლებული ამ ტელევიზიებში [„ფორმულა", „მთავარი", „TV პირველი"], ამ სამ პარტიულ ტელევიზიაში, ნაცმოძრაობის კუთვნილ ტელევიზიებში არის ასეულობით მილიონი ინვესტირებული და დახარჯული… ეს არის შავი ფული... მე გეთანხმებით, რომ გამოსაძიებელია. შავი ფული ტრიალებს ამ სამ ტელევიზიაში. ... მე სრული პასუხისმგებლობით შემიძლია ვამტკიცო საზოგადოების წინაშე, რომ ამ ტელევიზიებში, შავი ფულია, ათეულობით მილიონი იხარჯება ყოველწლიურად ამ სამ პარტიულ ტელევიზიაზე."*[53] *„ნაციონალურმა მოძრაობამ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში „რუსთავი 2" სრულიად ყაჩაღურად, მთელი საზოგადოების თვალწინ მიიტაცა, ეს პარტია და მისი პარტნიორები თუ ლობისტები უტიფრად და ურცხვად ამტკიცებდნენ, რომ სასამართლომ ტელეკომპანია კანონიერ მფლობელს უსამართლოდ დაუბრუნა.* ***....*** *ყველამ ძალიან კარგად იცის, რა მოვლენები ვითარდებოდა ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის გარშემო გასული წლების*

---

[48] იხ. 26.04.2015 წ. <https://tabula.ge/ge/news/574527-ivanishvili-rustavi-2-tabula-tsruoben > ბოლოს ნანახია: 01.12.2022 წ.

[49] იხ. 31.05.2018 წ. <https://www.interpressnews.ge/ka/article/496223-irakli-kobaxize-nika-gvaramia-sazogadoebas-radikalizmisken-moucodebs > ბოლოს ნანახია: 01.12.2022 წ.

[50] იხ. 14.09.2021წ. <https://mtavari.tv/news/56468-es-iqo-tkveni-bolsheviki-genprokurori-direktoris> ბოლოს ნანახია: 01.12.2022 წ.

[51] იხ. 29.10.2020 წ. <https://netgazeti.ge/news/492674/ > ბოლოს ნანახია: 01.12.2022 წ.

[52] იხ. 12.07.2021 წ. <https://bit.ly/3AvqQWK > ბოლოს ნანახია: 01.12.2022 წ.

[53] იხ. 15.07.2021 წ. https://publika.ge/formulashi-mtavarsa-da-tv-pirvelshi-shavi-fuli-trialebs-gamosadziebelia-kobakhidze/ ბოლოს ნანახია: 01.12.2022 წ.

განმავლობაში. ტელეკომპანია ჯერ კანონიერ მფლობელს წაართვეს, შემდეგ კი, როცა მიხვდნენ, რომ სასამართლო მას უსათუოდ კანონიერ მფლობელს დაუბრუნებდა, გაძარცვეს და სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნების შემდეგ, კანონიერ მფლობელს გაძარცვული უკან „მიუგდეს“.[54] „როგორც კი ქართული პოლიტიკა გათავისუფლდება კრიმინალებისგან: სააკაშვილი, გვარამია და სხვები, მაშინვე ჩვენ გავხდებით ევროპული ქვეყანა. ჩვენთვის არის შინაარსობრივად და ორგანულად მიუღებელი ის, რომ სააკაშვილი, გვარამია და სხვები დღეს არიან ქართული პოლიტიკის ნაწილი, ეს არის ძალიან სამწუხარო მოვლენა“.[55] „საუბარი იმაზე, რომ ევროკავშირმა საქართველოს კანდიდატობაზე უარი ერთი სახელმწიფოზე გადამტერებული და ეკლესიის მაგინებელი კრიმინალის გამო შეიძლება უთხრას, რომელიც 9-წლიანი დანაშაულებრივი რეჟიმის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი და იდეოლოგი იყო, რომელიც ქართული პოლიტიკის პოლარიზაციაში საკვანძო როლს ასრულებს და რომელმაც ტელეკომპანია „რუსთავი 2“ 7 მილიონით გაძარცვა, უბრალოდ, ღიმილისმომგვრელია და ეს ვერსია სერიოზულ განხილვას არ ექვემდებარება“.[56] „გვარამია ბევრად უფრო მძიმე საოცრებებს აკეთებდა. ის უბედურება რაც ხდებოდა 2004-დან 2102 წლამდე, არის მათ შორის გვარამიას დიდი დამსახურება, ყაჩაღობა, უბედურება... გვარამიას მიმართ წაყენებული ბრალი არის ბევრად უფრო მძიმე, ვიდრე დოდონის მიმართ. იქაც კორუფციას ეხება საქმე, აქაც. რაც შეეხება 2004 -2012 წლების პერიოდს, გვარამიას რა დანაშაულებიც აქვს ჩადენილი იმ პერიოდში, დოდონს არც დაესიზმრება იმის მეათედიც კი."“[57] „გვარამია განსაკუთრებით პრეზიდენტის მიმართ გამოირჩეოდა ბილწსიტყვაობით, არა შეურაცხყოფით, არამედ, პირდაპირ ბილწსიტყვაობით. როდესაც გვარამია ბილწსიტყვაობს პრეზიდენტის მიმართ, ეს არ არის ბილწსიტყვაობა სალომე ზურაბიშვილის მიმართ, ეს არის ბილწსიტყვაობა პრეზიდენტის ინსტიტუტის მიმართ. ... ის, ვინც ბილწსიტყვაობს პრეზიდენტის ინსტიტუტის მიმართ, ბუნებრივია, შეწყალების საგანი არ შეიძლება გახდეს.“[58] „გენპროკურორობის დროს უამრავ საზიზღრობას აკეთებდა ეს კაცი და ახლა „რუსთავი 2“ გაძარცვა.“[59]

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი: *„ჩართეთ მათი ტელევიზიები, ორი წელია, აღარ ვუყურებ და მართლაც წარმოუდგენელია, ამ ტელევიზიებს უყურო - „მთავარ არხს, „TV პირველს“ და „ფორმულას“, ეს ერთი ხელწერაა და ამ მეთოდებით პირდაპირ იბრძვიან ქართველი ხალხის წინააღმდეგ ... როცა უყურებ ამ მართლაც გარყვნილების*

---

[54] იხ. 17.05.2022 წ. < https://www.radiotavisupleba.ge/a/31854293.html > ბოლოს ნანახია: 01.12.2022 წ.

[55] იხ. 27.05.2022 წ.< https://mtavari.tv/news/86797-rogorts-ki-kartuli-politika-gatavisupldeba> ბოლოს ნანახია: 01.12.2022 წ.

[56] იხ. 30.05.2022 წ. https://www.interpressnews.ge/ka/article/712848-irakli-kobaxize-radikaluri-opoziciis-gegmit-ivnisis-bolos-sakartvelom-ar-unda-miigos-evrokavshiris-cevrobis-kandidatis-statusi-rasac-mohqveba-mgelvareba-nacmozraobis-mier-xelisuplebis-gadatrialeba-da-omshi-chartva > ბოლოს ნანახია: 01.12.2022 წ.

[57] იხ. 25.05.2022 წ. <https://mtavari.tv/news/86538-nika-gvaramias-ra-danashaulebits-akvs-chadenili ბოლოს ნანახია: 01.12.2022 წ.

[58] იხ. 17.05.2022 წ. <https://tabula.ge/ge/news/686163-kobakhidze-ar-sheidzleba-misi-shecqaleba-vints > ბოლოს ნანახია: 01.12.2022 წ.

[59] იხ. 20.05.2022 წ. <https://tabula.ge/ge/news/686330-kobakhidze-viola-pon-kramoni-aris-kriminalebis > ბოლოს ნანახია: 01.12.2022 წ,

პროპაგანდას, გვარამიას ტელევიზიას, გიჩნდება განცდა, რომ ყველაფერი დაინგრა, სამყაროს აღსასრულია და ბოლო დღეა, მსოფლიოს დაცემის დღე.'[60] „8-9 წელია მუდმივად ცდილობენ მოსახლეობაში ქაოსის, ისტერიის და შფოთვის შემოტანას, მათი ტელევიზიების მეშვეობით მიმდინარეობს 24 საათიანი დემაგოგია, სიცრუის ტირაჟირება."[61] „ჟურნალისტებს არ ვუწოდებ [პუტინისტებს], მე ვუწოდე "მთავარ არხს" და "ფორმულას" და ნაცმოძრაობას. თქვენ განაპირობეთ პუტინის შემოსვლა საქართველოში."[62]„უნდა შევადაროთ მეცნიერი კაცი მიხეილ ჩხენკელი ნიკა გვარამიას, ბატონებო, ნიკა გვარამიას, რომელიც არის გარყვნილების მთავარი პროპაგანდისტი ქვეყანაში და რომელიც იყო განათლების მინისტრი. ... რა თქმა უნდა, ამ ადამიანებმა, რომელთა გვარებიც ჩამოვთვალე, სააკაშვილის მეთაურობით ერთხელ უკვე გაანადგურეს ქვეყანა და ტერიტორიები დაგვაკარგინეს. ჩვენ მათ მეორედ ამის გაკეთების უფლებას აღარ მივცემთ".[63] „მე ვარ საქართველოს პრემიერ-მინისტრი. გვარამია იყო კერძო კომპანიის დირექტორი, რომელმაც, როგორც მე ვიცი, მოიპარა ფული თუ გააკოტრა კომპანია, რა შუაშია. მე რომ მადარებთ ახლა და ჩემს ოჯახს და ოჯახის წევრებს და რატომ სარგებლობს თურმე პრემიერ-მინისტრის ოჯახი სახელმწიფო მანქანით."[64]

ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი და ყოფილი ვიცე-პრემიერი, თბილისის მოქმედი მერი კახა კალაძე: *„რუსთავი 2 ისევ აგრძელებს იმ ცხრაწლიან სამარცხვინო მოღვაწეობას და სიბინძურის პროპაგანდას. ეს ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს ქვეყანაში და ვაძლევ პირობას მოსახლეობას, რომ აუცილებლად დასრულდება და მოეთხოვება პასუხი ყველა დამნაშავეს, ვისაც ამ სიბინძურეში ხელი ურევია."[65] „რუსთავი 2" მიზანმიმართულად ახორციელებს სიცრუის პროპაგანდას, ეს არის მანქანა, რომელიც წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა სიცრუეზე დაფუძნებული, რომელსაც წინა ხელისუფლება ძალიან კარგად იყენებდა სათავისოდ".[66] ,,მინდა, მოვუწოდო ყველა სახელმწიფო უწყებას, რომ არცერთი ტყუილი და სიცრუე არ გაუტარონ ამ ტელევიზიას. ამ სიცრუეს საზოგადოება ისმენს და ბევრს მართალი ჰგონია. ყველა ტყუილზე უნდა იყოს რეაგირება... დამოკიდებულება და მიდგომა კატეგორიულად მიუღებელია და ყოველთვის მოგხვდებათ ცხვირში."[67]*

---

[60] იხ. 01.09.2021წ. <https://www.interpressnews.ge/ka/article/672081-irakli-garibashvili-roca-uqureb-am-martlac-garqvnilebis-propagandas-gvaramias-televizias-gichndeba-gancda-rom-qvelaperi-daingra-samqaros-agsasrulia-da-bolo-dgea-msoplios-dacemis-dge/ > ბოლოს ნანახია: 01.12.2022 წ.

[61] იხ. 11.09.2021 წ. < https://bit.ly/39l7OXn > ბოლოს ნანახია: 01.12022 წ.

[62]იხ.08.08.2020წ.<https://formulanews.ge/News/34849?fbclid=IwAR0F-huoTO7Kug_zc12Ja6Npext7kdCF4S00N3RhI5eNHg0zw6WnBo1QaBE > ბოლოს ნანახია: 01.12.2022 წ.

[63] იხ. 01.09.2021 წ. <https://mtavari.tv/news/55071-nika-gvaramia-aris-garqvnilebis-mtavari> ბოლოს ნანახია: 01.12.2022 წ.

[64] იხ. 21.05.2022 წ. < https://mtavari.tv/news/86105-me-premieri-var-gvaramia-kompaniis-direktori-me> ბოლოს ნანახია: 01.12.2022 წ.

[65] იხ. 11.05.2014 წ. <https://tabula.ge/ge/news/563188-kaladze-rustavi-2-isev-agrdzelebs-sibindzuris > ბოლოს ნანახია: 01.12.2022 წ.

[66] იხ. 16.07.2014 წ. <https://netgazeti.ge/news/33522/ > ბოლოს ნანახია: 01.12.2022 წ.

[67] იხ. 12.12.2018 წ. <https://rustavi2.ge/ka/news/120946?fbclid=IwAR19WFiWd3m-P9uNs4f7LIJ69sZZjZpVuuuxyOkCduJg1KuBwyA_6ZRgnVY > ბოლოს ნანახია: 01.12.2022 წ.

იუსტიციის ყოფილი და კულტურის მოქმედი მინისტრი თეა წულუკიანი: *„იუსტიციის სამინისტრომ, ჩემი ხელმძღვანელობით, ევროპულ სასამართლოში დაამარცხა ნიკა გვარამია და ის სწორედ ამ წარმატებული დავის შემდეგად იქნა განდევნილი „რუსთავი 2“-დან“*[68]*; „როდესაც სტრასბურგის სასამართლოში დავას ვაწარმოებდი, მე თვითონ ფაქტებით ვხედავდი, რომ მისი მთავარი მიზანი იყო სისწრაფე და საუკეთესო შემთხვევაში „რუსთავი 2"-ის გაკოტრება, რომ აზრი აღარ ჰქონოდა ამ კომპანიის კანონიერი მესაკუთრისთვის დაბრუნებას. მან ეს ბოლომდე ვერ შეძლო, მაგრამ შეძლო ის, რომ 7 მილიონ ლარამდე ქონებრივი უფლებები გაფლანგა მის მიერვე დაფუძნებული კომპანიის და მისივე პირადი ინტერესების სასარგებლოდ. თუ ეს არ არის დანაშაული, მაშინ არ ვიცი, რა არის დანაშაული. ამიტომ, ყველანაირი თავში ცემა, რომ ეს რა კარგი ბიჭი დავკარგეთ, არის უსაგნო, უსაფუძვლო სამართლებრივად.“*[69] *„დესტრუქციულ როლს ბიძინა ივანიშვილი კი არ თამაშობს, თქვენი აწ უკვე პატიმარი ხელმძღვანელი თამაშობს. რა თქმა უნდა, ის არ გათავისუფლდება, სანამ ყველა არ მოიხდის იმ სასჯელს, რომელიც უნდა მოიხადოს. პრეზიდენტმა გადაწყვიტოს ის, რაც არის მისი გადაწყვეტილება და შემდგომ ასეთი თუ ისეთი გადაწყვეტილებისთვის, რა თქმა უნდა, ყველა აგებს პასუხს. ... თუ ის მიიღებს უსამართლო გადაწყვეტილებას, რომელსაც კრიმინალების შეწყალება ჰქვია, შემდეგ, რა თქმა უნდა, არ უნდა შეწუხდეს, თუ ქართველი ერი ამისათვის პასუხს მოსთხოვს“.*[70]

საპარლამენტო უმრავლესობის წევრები:

არჩილ თალაკვაძე: *„გვარამია, რომელიც გახლდათ პოლიტიკური ფუნქციონერი, რომელსაც აქვს პოლიტიკური პასუხისმგებლობა უმძიმეს დანაშაულებზე, ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევებზე, რომელიც პროკურორის პოზიციაზე მუშაობისას პირდაპირ ამართლებდა რეიდებს ტელევიზიებში. სინამდვილეში ის არა თავისუფალი ჟურნალისტი, თავისუფალი მედიის მენეჯერი, არამედ ჟურნალისტიკას ამოფარებული „ნაციონალური მოძრაობის“ დამნაშავე ლიდერი გახლავთ.“*[71]

ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ყოფილი თავჯდომარე სოფიო კილაძე: *„ადამიანებისათვის ტვინის გამორეცხვას არაფერი აქვს საერთო ჟურნალისტიკასთან ... ახლა ნიკა გვარამია ცდილობს გაიმეოროს იგივე. იმას კი ვერ ხვდებიან,*

---

[68] იხ. 18.12.2020 წ. <https://mtavari.tv/news/26572-chemi-khelmdzghvanelobit-davamartskhet-nika> ბოლოს ნანახია: 01.12.2022 წ.

[69] იხ. 18.05.2022 წ. <https://mtavari.tv/news/85741-qvelanairi-tavshi-tsema-rom-es-ra-kargi-bichi > ბოლოს ნანახია: 01.12.2022 წ.

[70] 11.06.2022 წ. < https://tabula.ge/ge/news/687458-culukiani-tu-prezidenti-kriminalebs-sheicqalebs > ბოლოს ნანახია: 01.12.2022 წ.

[71] იხ. 08.06.2022 წ. < https://mtavari.tv/news/88070-nika-gvaramia-zhurnalistikas-amoparebuli> ბოლოს ნანახია: 01.12.2022 წ.

ვერც გვარამია და ვერც სააკაშვილი, რომ ისეთივე კრახით დასრულდება მათი „მაოხრებელი გზირობა“, როგორც იმათი რეჟიმები, ვისაც ბაძავენ.“[72]

გიორგი ვოლსკი: *„რუსთავი 2“ იყო და ახალი ტელევიზიაც იქნება პარტიული ტელევიზია, რაც „ნაციონალური მოძრაობის“ შემადგენელი ნაწილია“*[73]*;* **ირაკლი ქადაგიშვილი:** *„მიტაცების შემდეგ რომ დაინახეს, რეალური იყო, დაეკარგათ კონტროლი „რუსთავი 2-ზე“, რადგან რეალური იყო მიტაცება, დაიწყეს კომპანიის გაკოტრება. ანუ, იქიდან თანხის გადმოსროლა, მათ მიერვე დაფუძნებულ კომპანიაში, სადაც 7 მლ ლარამდე თანხა არის გადარიცხული და კიდევ, მანქანაზე, რომელიც 300 ათასი ლარი ღირს. ტელეკომპანია, რომელიც სასამართლო დავის დაწყებამდე იყო მომგებიანი, გახდა გაკოტრებული კომპანია“*[74]*;* **ირაკლი ზარქუა**: *„არგუმენტებით იქნა დადასტურებული, რომ ადამიანმა 7 მილიონი მოპარა თუ გაუფლანგა კომპანიას, რომლის ხელმძღვანელიც იყო, ამაში იქნა მხილებული და დადგა ის შედეგი, რაც დადგა“.*[75]

- **ქვეყანაში არსებული მედია გარემო**

სახალხო დამცველი მიუთითებდა,[76] რომ 2021 წელს მედიის წარმომადგენლების მიმართ ქვეყანაში შექმნილმა საფრთხის შემცველმა და მტრულმა გარემომ, შემაშფოთებელი სახე შეიძინა. საყურადღებოა ჟურნალისტებისა და მედიის სხვა წარმომადგენლების მიმართ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების სიმრავლე და მათი საქმიანობისთვის სხვაგვარი ხელშეშლის შემთხვევები, რაც, მათ შორის, ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდანაც დაფიქსირდა.

კერძოდ, 2021 წლის განმავლობაში, აპარატმა მედიის წარმომადგენელთა მიმართ ჩადენილი შესაძლო დანაშაულებრივი ქმედებებისა თუ სამართალდარღვევების ათობით შემთხვევა აღრიცხა, რაც გულისხმობდა პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლას და თავდასხმას, განზრახ მკვლელობის მომზადებას, მუქარას ან/და ნივთის დაზიანებას, მათ მიმართ სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტებას და სიტყვიერ შეურაცხყოფას.[77] ცალკეულ შემთხვევებში, ასეთ ფაქტებს სახალხო დამცველი საჯარო

---

[72] იხ. 24.10.2018 წ. <https://www.interpressnews.ge/ka/article/517804-sopo-kilaze-ver-xvdebian-verc-gvaramia-da-verc-saakashvili-rom-isetive-kraxit-dasruldeba-mati-maoxrebeli-gziroba-rogorc-is-rezhimebi-visac-bazaven > ბოლოს ნანახია: 01.12.2022 წ.

[73] იხ. 06.09.2019 წ. <https://www.interpressnews.ge/ka/article/562679-gia-volski-rustavi-2-iqo-da-axali-televiziac-ikneba-partiuli-televizia-rac-nacionaluri-mozraobis-shemadgeneli-nacilia > ბოლოს ნანახია: 01.12.2022 წ.

[74] იხ. 16.05.2022 წ. <https://imedinews.ge/ge/politika/249756/irakli-qadagishvili-rom-dainakhes-realuri-iko-daekargat-kontroli-rustavi-2ze-daitskes-misi-gakotreba--telekompania-romelits-sasamartlo-davis-datskebamde-iko-momgebiani-gakhda-gakotrebuli-kompania > ბოლოს ნანახია: 01.12.2022 წ.

[75] 16.05.2022 წ. <https://imedinews.ge/ge/politika/249744/irakli-zarqua-gvaramiaze-argumentebit-dadasturda-rom-7-milioni-mopara-tu-gauplanga-kompanias-romlis-khelmdzgvanelits-iko-amashi-iqna-mkhilebuli-dadga-is-shedegi-rats-dadga > ბოლოს ნანახია: 01.12.2022 წ.

[76] იხ. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2022040413242699860.pdf> ბოლოს ნანახია: 25.11.2022 წ.

[77] დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 172-175.

განცხადებით გამოეხმაურა და საგამოძიებო უწყებებს დროული და ეფექტიანი გამოძიების ჩატარებისკენ მოუწოდა.[78]

განსახილველი პრობლემის სიმწვავე და მასშტაბურობა მკაფიოდ წარმოაჩინა 2021 წლის 5 ივლისს, რუსთაველის გამზირზე განვითარებულმა ძალადობრივმა მოვლენებმა, რომლის მიმდინარეობისას მედიის 40-ზე მეტი წარმომადგენელი დაშავდა.[79] საგულისხმოა, რომ დაზარალებულ მედიის წარმომადგენლებს შორის იყო „TV პირველის" ოპერატორი, ალექსანდრე ლაშქარავა, რომელიც რამდენიმე დღეში გარდაიცვალა.[80] მოგვიანებით, „იუნესკომ" იგი მოკლულ ჟურნალისტთა სიაში შეიყვანა.[81]

გარდა ამისა, არაერთხელ გამოიკვეთა სამინისტროების მიერ გამართულ ბრიფინგებზე კრიტიკული მედიის წარმომადგენლების არდაშვების ან/და არმიწვევის სამწუხარო ტენდენცია,[82] აგრეთვე პოლიტიკოსთან მხრიდან კრიტიკულად განწყობილი ჟურნალისტების მიმართ ცინიკური დამოკიდებულება და მათი მადისკრედიტირებელი თუ შეურაცხმყოფელი განცხადებები.[83]

გარდა ამისა, გაგრძელდა მაუწყებლის პროგრამების შინაარსის გაუმართლებელი კონტროლი და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისკენ მიმართულ საკანონმდებლო ინიციატივებზე[84] მსჯელობა.

ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია, რომ კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მაუწყებლის პროგრამების შინაარსის მონიტორინგისთვის, უხამსობის შემცველი პროგრამების განთავსების ამკრძალავი ნორმის ამოქმედება დაიწყო და „მთავარი არხის" სამართალდამრღვევად ცნობით, პრაქტიკაში ამ მიმართულებით საზედამხედველო ფუნქციის განხორციელების პრეცედენტი დაამკვიდრა. სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ ეს კანონმდებლობის არასათანადო განმარტების შედეგი იყო, რასაც მსუსხავი ეფექტი ჰქონდა მაუწყებლების მიერ გამოხატვის თავისუფლების რეალიზებაზე.[85]

---

[78] საქართველოს სახალხო დამცველის განცხადებები ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/3CDI58Z >, < https://bit.ly/3AAGtMN > ; < https://bit.ly/3lLqiWG > ; < https://bit.ly/3CAWtik > ; < https://bit.ly/2W3IlOX > ; < https://bit.ly/3sn3H6i >, < https://bit.ly/3GEsyaR >, < https://bit.ly/3AVug6a > [05.12.2022].

[79] იხ. სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში. გვ. 183-185.

[80] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება ოპერატორის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/3uHZoFs > [05.12.2022].

[81] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/3suWmRX > [05.12.2022]; მიუხედავად ამისა, საგულისხმოა, რომ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის შესაბამისად, ლაშქარავას გარდაცვალების მიზეზად ნარკოტიკული საშუალებით ინტოქსიკაციის შედეგად განვითარებული გულსისხლძარღვთა და სუნთქვის მწვავე უკმარისობა დასახელდა, ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: : < https://bit.ly/36anjCS > [05.12.2022].

[82] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/33g0SLl > ; < https://bit.ly/3dCjTJU > ;< https://bit.ly/3pGDspR > [05.12.2022].

[83] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/3yajvM8 > ; < https://bit.ly/3EwXSHX > ; < https://bit.ly/3lCyQzZ > ; < https://netgazeti.ge/news/555767/ >; < https://bit.ly/3oy0qQw > [05.12.2022].

[84] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 180-181.

[85] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, 229-233.

გარდა ამისა, გასული პერიოდის მსგავსად, 2021 წელს, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მხრიდან კვლავ გამოვლინდა მაუწყებლებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების შემთხვევა არაწინასაარჩევნო პერიოდში, პოლიტიკური რეკლამის განთავსების გამო, მათ შორის, „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, რომლის მოქმედებაც პოლიტიკური შინაარსის რეკლამაზე არ ვრცელდება.[86] სახალხო დამცველმა მიუთითა, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ შეიცავს არასაარჩევნო რეკლამის მარეგულირებელ წესებს და, შესაბამისად, პირდაპირ არ კრძალავს არასაარჩევნი პერიოდში პოლიტიკური რეკლამის განთავსებას. ამდენად, კომისიის მიერ გამოყენებული აკრძალვა და მისი დასაბუთება ვერ აკმაყოფილებდა გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის მართლზომიერებისთვის ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.[87]

- **ადგილობრივი და საერთაშორისო გამოხმაურებები და შეფასებები**

საქართველოში მოქმედი 35 საზოგადოებრივი ორგანიზაციის განცხადებით, „გადაწყვეტილება და ნიკა გვარამიასთვის თავისუფლების აღკვეთის მისჯა აღიქმება როგორც გაფრთხილება და მუქარა სხვა დამოუკიდებელი მედიასაშუალებების მიმართ, რათა შეწყვიტონ ხელისუფლების საქმიანობის კრიტიკულად გაშუქება, არ შეასრულონ ხელისუფლების მაკონტროლებელი ფუნქცია და უარი თქვან ხელისუფლებისთვის არასასურველი ფაქტების საზოგადოებამდე მიტანაზე. კრიტიკული მედიასაშუალების გენერალური დირექტორის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა მათ შორის, მენეჯერული გადაწყვეტილების მიღების გამო წარმოადგენს შერჩევითი გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის და მსჯავრდების კიდევ ერთ მაგალითს.“[88] **კოალიციის „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“** შეფასებით, ნიკა გვარამიას მიმართ გამოტანილი „გადაწყვეტილება კრიტიკულ მედიაზე ზეწოლის კიდევ ერთი სახიფათო პრეცედენტია, რომელიც კითხვებს აჩენს გადაწყვეტილების კანონიერებასთან დაკავშირებით და შერჩევითი და პოლიტიზირებული მართლმსაჯულების ნიშნებს შეიცავს.“[89] **„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“** განცხადებით, “აღნიშნული საქმე არის პოლიტიკურად მოტივირებული, რომლის მიზანი ნიკა გვარამიას დასჯა და კრიტიკული ტელეკომპანიის საქმიანობის შეფერხებაა.“[90] **„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“** განცხადებით, ნიკა გვარამიას მიმართ გამოტანილი განაჩენი დაუსაბუთებელი, უკანონო და პოლიტიკურად მოტივირებულია.[91] **„სოციალური სამართლიანობის ცენტრის“**

---

[86] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 178.

[87] *იქვე.*

[88] იხ. 17.05.2022 წ. < https://www.radiotavisupleba.ge/a/31855186.html > ბოლოს ნანახია: 01.12.2022 წ.

[89] იხ. 20.05.2022 წ. <http://coalition.ge/index.php?article_id=269&clang=0 > ბოლოს ნანახია: 01.12.2022 წ. 17.05.2022 წ. <https://www.qartia.ge/ka/siakhleebi/article/91927 > ბოლოს ნანახია: 01.12.2022 წ.

[90] იხ. 16.05.2022 წ. < https://transparency.ge/ge/post/kritikuli-televiziis-xelmzgvanelis-nika-gvaramias-dasjit-sasamartlom-politikuri-dakveta/?custom_searched_keyword=%E1%83%92%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90 > ბოლოს ნანახია: 05.12.2022 წ.

[91] იხ. 16.05.2022 წ. <https://gyla.ge/ge/post/nika-gvaramias-mimart-gamotanili-ganacheni-ukanono-da-politikurad-motivirebulia#sthash.BuPC7v4d.dpbs > ბოლოს ნანახია: 05.12.2022 წ. 06.03.2022 წ. <https://gyla.ge/ge/post/nika-

შეფასებით, „მოცემული განაჩენი კი აჩენს არა მხოლოდ სამართლებრივ კითხვებს განაჩენის დასაბუთებულობასთან დაკავშირებით, არამედ, საფუძვლიან ეჭვებს - სასამართლოს პოლიტიკური მიზნებით ინსტრუმენტალიზების თაობაზე."[92]

სააპელაციო სასამართლოს განაჩენს გამოეხმაურა რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელთა ნაწილის შეფასებით, „მიღებული გადაწყვეტილება ნაკარნახევია პოლიტიკური მოტივებით";[93] ასევე, ორგანიზაციების ნაწილი მიიჩნევს, რომ „სააპელაციო სასამართლომ ნიკა გვარამია პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეზე პატიმრობაში დატოვა".[94]

საერთაშორისო ორგანიზაცია **„რეპორტიორები საზღვრებს გარეშე" განცხადებაში ითხოვს გადახედოს ოპოზიციური ტელეარხის დირექტორის ნიკა გვარამიას უპრეცედენტო და, სავარაუდოდ, პოლიტიკურად მოტივირებული მსჯავრდება.**[95] **"Amnesty International"--ის განცხადებით,** გვარამიასთვის გამოტანილი განაჩენი განსხვავებული ხმის პოლიტიკური მოტივით ჩახშობაა.[96]

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს განცხადებით, „სასამართლო გადაწყვეტილება გვარამიას ... საქმეზე ეჭვქვეშ აყენებს საქართველოს ერთგულებას კანონის უზენაესობისადმი და უფრო მეტად წარმოაჩენს საქართველოში დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი სასამართლო სისტემის არსებობის ფუნდამენტურ მნიშვნელობას. თავიდანვე ამ საქმემ წარმოშვა კითხვები დროის გარემოებასა და ბრალდებებთან დაკავშირებით. შერჩევითი გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შემაშფოთებელი პრაქტიკა, მიმართული ამჟამინდელი მთავრობის ოპოზიციაში მყოფი პირების მიმართ, ძირს უთხრის საზოგადოების ნდობას პოლიციის, პროკურატურის, სასამართლოებისა და თვით მთავრობის მიმართ. განსაკუთრებით ამ დროს, როდესაც საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის გაღრმავების უპრეცედენტო შესაძლებლობა აქვს, სისხლის სამართლებრივი დევნის პოლიტიზირებულად აღქმაც კი ზიანის მომტანია".[97]

---

gvaramias-saqmeze-gamotanil-ganacheni-saias-shefasebit-dausabutebelia#sthash.YUa1V7HY.dpbs > ბოლოს ნანახია: 05.12.2022 წ.

[92] იხ. 16.05.2022 წ. https://socialjustice.org.ge/ka/products/nika-gvaramias-sakmeze-gadatsqvetileba-kritikul-mediaze-zetsolis-kidev-erti-pretsedentia ბოლოს ნანახია: 05.12.2022 წ.

[93] იხ. 03.11.2022 წ. <https://gyla.ge/ge/post/ganckhadeba-nika-gvaramias-saqmeze-saapelacio-sasamartlos-gadatsyvetilebastan-dakavshirebit#sthash.GFjv9Wk3.dpbs> https://socialjustice.org.ge/ka/products/gantskhadeba-nika-gvaramias-sakmeze-saapelatsio-sasamartlos-gadatsqvetilebastan-dakavshirebit ბოლოს ნანახია: 05.12.2022 წ. ხელმომწერი ორგანიზაციები: „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია", „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება", „სოციალური სამართლიანობის ცენტრი", „უფლებები საქართველო"

[94] იხ. 02.11.2022 წ.< https://bit.ly/3F39CDJ > ბოლოს ნანახია: 05.12.2022 წ. ხელმომწერი ორგანიზაციები: „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო", „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა", „ღია საზოგადოების ფონდი" „ადამიანის უფლებათა ცენტრი", „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC)", „საზოგადოება და ბანკები", „მედიის განვითარების ფონდი", „საქართველოს ატლანტიკური საბჭო".

[95] იხ. 24.05.2022 წ. < https://rsf.org/en/georgia-rsf-seeks-review-opposition-tv-chief-s-conviction-jail-sentence > ბოლოს ნანახია: 05.12.2022 წ.

[96] იხ. <https://www.radiotavisupleba.ge/a/31855069.html > ბოლოს ნანახია: 01.12.2022 წ.

[97] იხ.16.05.2022 წ. < https://ge.usembassy.gov/ka/u-s-embassy-statement-on-the-ruling-in-the-cases-of-gvaramia-iashvili-and-damenia/ > ბოლოს ნანახია: 05.12.2022 წ.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გამოტანის შემდეგ, საელჩომ კიდევ ერთხელ გამოხატა ღრმა შეშფოთება გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.[98]

ევროკავშირის ელჩის კარლ ჰარცელის თქმით, „სასამართლომ ეს განაჩენი გამოიტანა ევროკავშირის მიერ არაერთხელ გამოთქმული მოწოდებების ფონზე, რომ მოხდეს სასამართლო ხელისუფლების რეფორმირება, მის მიმართ ნდობის განმტკიცებისა და დამოუკიდებლობის გაზრდის მიზნით.[99] **ევროპის პარლამენტის 2022 წლის 9 ივნისის რეზოლუციით,** დაგმობილია პროოპოზიციური ტელეარხის დირექტორის ნიკა გვარამიასთვის განაჩენის გამოტანა, რომელიც ხაზს უსვამს მუდმივ უნდობლობას საქართველოს სასამართლო სისტემის მიმართ; უერთდება განაჩენის გადახედვის მოწოდებას.[100] სააპელაციო სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანის შემდეგ **ევროკავშირის წარმომადგენლობამ საქართველოში** გაავრცელა განცხადება, რომ ევროკავშირი ამ საქმეს ყურადღებით აკვირდება და შეახსენა, რომ „უფრო ძლიერი ძალისხმევა თავისუფალი, პროფესიული, პლურალისტური და დამოუკიდებელი მედიაგარემოს უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით იმისათვის, რომ მედიის მფლობელთა წინააღმდეგ მიმართული სისხლის სამართლებრივი პროცედურები აკმაყოფილებდეს უმაღლეს იურიდიულ სტანდარტებს ევროკომისიის მიერ განსაზღვრულ ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს.“[101]

- **თავისუფლების აღკვეთის გამოყენება**

სააპელაციო სასამართლომ 2 ეპიზოდში თავისუფლების აღკვეთა გამოიყენა. საგულისხმოა, რომ ე.წ. რეკლამების ეპიზოდზე ბრალდება წარდგენილი იყო სსკ-ის 182-ე მუხლით, რაც საქალაქო სასამართლომ გადააკვალიფიცირა სსკ-ის 220-ე მუხლზე და ჯარიმა გამოიყენა. მიუხედავად იმისა, რომ პროკურატურა სააპელაციო საჩივრით ითხოვდა ხსენებულ ეპიზოდში ნიკა გვარამიას დამნაშავედ ცნობას სსკ-ის 182-ე მუხლით და არ მოუთხოვია სსკ-ის 220-ე მუხლით სასჯელის სხვა სახის - თავისუფლების აღკვეთის გამოყენება, სააპელაციო სასამართლომ მაინც სსკ-ის 220-ე მუხლის ფარგლებში გამოიყენა უფრო/ყველაზე მკაცრი სასჯელის სახე.

ამ ეპიზოდთან დაკავშირებით, არამცთუ თავისუფლების აღკვეთის, არამედ ჯარიმის გამოყენების პრობლემურობაც რომ სახეზეა, ამაზე დეტალური მსჯელობა სახალხო დამცველმა უკვე წარმოადგინა. სააპელაციო სასამართლომ დამატებით მიუთითა, რომ თანამდებობრივად ნიკა გვარამია იყო გაცილებით უფრო მაღალ პოზიციაზე, ვიდრე მოცემულ ეპიზოდში მე-2 მსჯავრდებული - კომპანიის ფინანსური დირექტორი კ. დ. თუმცა არ დაუსაბუთებია რატომ არ შეიძლებოდა სასჯელის სხვა სახის გამოყენება და რატომ იყო პროპორციული მხოლოდ თავისუფლების აღკვეთა. ამასთან, სასამართლოს ეს მსჯელობა ვერ

---

[98] იხ. 02.11.2022 წ. https://ge.usembassy.gov/ka/u-s-embassy-statement-on-the-continued-imprisonment-of-nika-gvaramia/ ბოლოს ნანახია: 05.12.2022 წ.

[99] იხ. < https://bit.ly/3Y0svzE > ბოლოს ნანახია: 01.12.2022 წ.

[100] იხ. 09.06.2022 წ. N2022/2702(RSP)) < https://www.europarl.europa.eu/doceo/document/TA-9-2022-0239_EN.html> ბოლოს ნანახია: 05.12.2022 წ.

[101] იხ. 02.11.2022 წ. https://www.eeas.europa.eu/eeas/georgia-statement-spokesperson-verdict-tbilisi-court-appeal-case-mr-gvaramia_en?s=221&page_lang=ka ბოლოს ნანახია: 05.12.2022 წ.

ცვლის იმ გარემოებას, რომ ხსენებული ეპიზოდი, სახალხო დამცველის შეფასებით, დანაშაულს საერთოდ არ წარმოადგენს. შესაბამისად, სასჯელის ნებისმიერ სახის გამოყენება პრობლემურია.

რაც შეეხება 2019 წლის ე.წ. მანქანის ეპიზოდში თავისუფლების აღკვეთის გამოყენებას, სააპელაციო სასამართლომ რთულ დანაშაულებრივ სქემაზე მიუთითა (რაც სინამდვილეში საწარმოს მართვისას სხვადასხვა მოლაპარაკებებისა და ხელშეკრულებების გაფორმებას მოიცავს) და 2015 წლის შემდეგ დანაშაულის განმეორებაზე გააკეთა აქცენტი. სასამართლომ მხოლოდ 1 წინადადებით ახსენა, რომ სასჯელის სხვა სახეები: ჯარიმა, გამასწორებელი სამუშაო და შინაპატიმრობა ვერ უზრუნველყოფს დანაშაულის პრევენციისა და სასჯელის მიზნებს, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას. თუმცა, დასაბუთება არ წარმოუდგენია. შესაბამისად, ნიკა გვარამიას მიმართ 2 ეპიზოდში სასჯელის ყველაზე მკაცრის სახის - თავისუფლების აღკვეთის გამოყენება სააპელაციო სასამართლოს განაჩენშიც დაუსაბუთებელია.

პოლიტიკური მოტივის უპირატესობა

ცხადია, მხოლოდ ის ფაქტი, რომ მთავრობამ, ან პირის პოლიტიკურმა ოპონენტებმა პირდაპირ ან არაპირდაპირ შეიძლება იხეირონ პირის დაპატიმრებით, არაა საკმარისი პოლიტიკური მოტივის სამართლებრივ მოტივთან უპირატესობის გამოსაკვეთად.[102] ევროპული სასამართლო აცხადებს, რომ მე-18 მუხლი დარღვეული იქნება, თუკი არ არსებობს ხელისუფლების მხრიდან კონკრეტული ქმედების განხორციელების კანონიერი ინტერესი, ანდა, თუ ქმედების განხორციელების პოლიტიკური ან სხვა ქვენა მიზანი უპირატესია და გადაწონის ქმედების კანონიერ ინტერესს.[103]

ამასთან, აღნიშნულის გამოკვეთა შეიძლება ისეთ ირიბ მტკიცებულებებზე დაყრდნობითაც, როგორიცაა სახელმწიფოში არსებული ზოგადი სიტუაციის მიმოხილვა, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნები და სხვა.[104]

ანალოგიურ მიდგომას იზიარებს ევროსაბჭო[105] და Amnesty International[106], რომელთა დეფინიციების თანახმად, პოლიტპატიმარია პირი, რომლის წინააღმდეგაც მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა მისი პოლიტიკური (ან სხვა ნიშნით) გამოხატული არაძალადობრივი აქტივობის გამო და რომელსაც საერთოდ არ ჩაუდენია დანაშაული, ან რომელმაც შესაძლოა ჩაიდინა დანაშაული, თუმცა მის მიმართ მიმდინარე სამართალწარმოება ან გამოტანილი სასჯელი აშკარად უსამართლო იყო.

---

[102] Khodorkovskiy and Lebedev v. Russia, 11082/06 13772/05, 2013, §903.
[103] Merabishvili v. Georgia, 72508/13, 2017, §305.
[104] იქვე, §310, 316-317.
[105] იხ.< http://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-en.asp?fileid=19150&lang=en > [ბოლოს ნანახია 01.12.2022]
[106] იხ. < https://bit.ly/2TOh5ji > ბოლოს ნანახია: 01.12.2022 წ.

ამრიგად, იმის გადასაწყვეტად, დარღვეულია თუ არა კონვენციის მე-18 მუხლი, უნდა შედარდეს, ბრალდებულთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და მათი მსჯავრდების ინტერესი უპირატესად განპირობებული იყო სამართლებრივი თუ პოლიტიკური ან სხვა აკრძალული მოტივით. შეპირისპირების დროს უმთავრესი ფაქტორი, რომელსაც სასამართლო მხედველობაში იღებს, არის ბრალდებულთა მიმართ კანონიერების პრინციპისა და სამართლიანი სასამართლოს უფლებების გარანტირება. ცხადია, უკანონო მოტივის უპირატესობის დამტკიცება რთულდება მაშინ, როდესაც ეს პირობები დაცულია და თუკი პირისთვის წარდგენილი ბრალდებები აკმაყოფილებს შესაბამისი საპროცესო მტკიცებულების სტანდარტს.[107]

უშუალოდ ნიკა გვარამიას მსჯავრდების საკითხზე უნდა ითქვას, რომ მთავარი ფაქტორი, რის გამოც პოლიტიკური მოტივის უპირატესობა დასტურდება, არის სწორედ საქმის გარემოებები. უფრო კონკრეტულად, ერთი მხრივ ამ საქმეში კერძო კომპანიის, ტელევიზიის მენეჯერის დამნაშავედ ცნობა მოხდა დანაშაულისთვის, რაც წარმოადგენს არა სისხლისსამართლებრივად აკრძალულ ქმედებას, არამედ კორპორატიული სამართლის საკითხს. მეორეს მხრივ ამავე საქმეში მეორე ბრალდება არ არის დასაბუთებული. სისხლის სამართლის ფუნდამენტური კანონიერების პრინციპის საწინააღმდეგოდ პირის მსჯავრდება, საწარმოს ხელმძღვანელის მენეჯერული გადაწყვეტილების დანაშაულად შეფასების ნაწილში და ასევე, თავისუფლების აღკვეთის გამოყენების საკითხის სასამართლოს განაჩენების დაუსაბუთელობა, განსაკუთრებით იმ ფონზე, რომ ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების საჯარო განცხადებებით აშკარაა კრიტიკული ტელევიზიის დამფუძნებლის, მენეჯერის და ტელეწამყვანის საზოგადოებისგან იზოლაციის სურვილი და დაინტერესება, ცალსახად ადასტურებს პოლიტიკური მოტივის უპირატესობას მართლმსაჯულების ინტერესთან მიმართებით.

საგულისხმოა რომ „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორობიდან გათავისუფლების შემდეგ, ნიკა გვარამია აგრძელებდა ტელემედიის სფეროში საქმიანობას, ახალი ტელევიზიის შექმნის გეგმის გაცხადებიდან რამდენიმე დღეში კი მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო. ამასთან, გასათვალისწინებელია ქვეყანაში არსებული მედია გარემო, რომელიც მასმედიის საშუალებების სხვადასხვა გზით შეზღუდვის არაერთ მაგალითს მოიცავს და ნათლად წარმოაჩენს ხელისუფლების არაკეთილგანწყობილ და მტრულ განწყობას კრიტიკული მედიის წარმომადგენლებისთვის.

ამასთან, გვსურს ყურადღება გავამახვილოთ იმ საკითხებზე, რითაც სააპელაციო სასამართლომ გამორიცხა პოლიტიკური მოტივი ნიკა გვარამიასთან მიმართებით. სასამართლოს მსჯელობის საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ საქმის განხილვის შედეგად არათუ არ დადასტურებულა დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა, არამედ 2 ინსტანციის სასამართლომ ვერ გასცა გამამტყუნებელ განაჩენებში დასაბუთებული პასუხი მსჯავრდების

[107] Dochnal v. Poland, 2012, §115-116; 31622/07; OAO Neftyanaya Kompaniya Yukos v. Russia, 4902/04, 2011, §665; Khodorkovskiy and Lebedev v. Russia, 11082/06 13772/05, 2013, §908.

მთავარ შეკითხვას (კომპანიის მენეჯერის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მენეჯერული გადაწყვეტილების გამო). რაც შეეხება განაჩენში მითითებას, რომ ბრალდება არ გამომდინარეობდა პოლიტიკური ან/და ჟურნალისტური საქმიანობიდან და ფინანსურ დანაშაულს წარმოადგენს, საგულისხმოა, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით კრიმინალიზებულ ქმედებას არ წარმოადგენს ჟურნალისტური, პოლიტიკური, საზოგადოებრივი საქმიანობა და პირიქით, სსკ-ის 156-ე მუხლით დანაშაულს წარმოადგენს ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელშეშლა. შესაბამისად, ჟურნალისტური ან/და პოლიტიკური საქმიანობისთვის პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გამოირიცხება. ხოლო მსჯავრდებასთან მიმართებით საქმე ისაა, რომ ფინანსური დანაშაულისთვის კი არ არის მსჯავრდებული ნიკა გვარამია, არამედ მის მიერ ტელეკომპანიის „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორობის პერიოდში მიღებული გადაწყვეტილების გამო, რაც სახელმწიფომ დანაშაულად დააკვალიფიცირა და სწორედ აღნიშნული წარმოადგენს კანონიერების პრინციპის დარღვევას.

განაჩენში მითითებულ კიდევ ერთ არგუმენტთან - გამოძიების ინიციატორად კომპანიის ერთ-ერთი მეწილის განცხადების და არა სამართალდამცავების დასახელებასთან დაკავშირებით - აუცილებელია ითქვას, რომ მიუხედავად იმისა, რომ გამოძიების დასაწყებად საკმარისია ნებისმიერი ტიპის წყარო, მათ შორის, ფიზიკური პირის მიერ დანაშაულის ნიშნების შესახებ მხოლოდ განცხადების შეტანა, და ამ ნაწილში დაბალია სამართლებრივი სტანდარტი, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით სჭირდება მტკიცებულებების არსებობა.[108] მითუმეტეს გამამტყუნებელ განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისთვის აუცილებელია გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა არსებობა,[109] რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში.[110] ამდენად, მთავარი გარემოება აქ არის ის, რომ გამოძიების დაწყებისა და შემდეგ სასამართლო განხილვის შედეგად გამოიკვეთა კორპორატიული სამართლით რეგულირებული საკითხი, ასევე, სხვა საკვანძო ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც გვარამიას ბრალეულობის საწინააღმდეგო ვითარებას აჩვენებდა, თუმცა, მიუხედავად ამისა, ნიკა გვარამიას მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, რაც გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანით და თავისუფლების აღკვეთის გამოყენებით დასრულდა. აღნიშნული კი სწორედ სახელმწიფო ორგანოებმა განახორციელეს, რომელებსაც ევალებოდათ კანონიერების პრინციპის დაცვა. შესაბამისად, ფორმალურად კომპანიის მეწილის განცხადების არსებობა თავისთავად არ გამორიცხავს პოლიტიკურ მოტივს.

სასამართლოს მსჯელობით, ნიკა გვარამია არ დაუკავებიათ და აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იქნა გირაო (არა პატიმრობა) და განაჩენის გამოტანამდე ადგილი არ ჰქონია

---

[108] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლი.
[109] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილი.
110 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-13 ნაწილი.

მისი საზოგადოებისგან იზოლაციის მცდელობასაც კი. ასევე, საქმეში ნიკა გვარამიას გარდა სხვა ბრალდებულებიც იყვნენ, სისხლისსამართლებრივი დევნა მხოლოდ მის მიმართ არ დაწყებულა, რაც გამორიცხავს მის მიმართ პოლიტიკურ მოტივს. უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ საქმეში 1 ბრალდებული სრულად გამართლდა საქალაქო და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოების მიერ, 1 მსჯავრდებულის მიმართ გამოყენებულია ჯარიმა და მხოლოდ ნიკა გვარამიას განესაზღვრა ორივე ეპიზოდში თავისუფლების აღკვეთა. აღნიშნული გარემოება არათუ გამორიცხავს, პირიქით ცხადად ადასტურებს სწორედ კონკრეტულად ნიკა გვარამიას პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსების და ყოფნის თაობაზე დაინტერესებას.

დასკვნა

წინამდებარე საქმეში კანონიერების პრინციპი დაცულად ვერ ჩაითვლება. მედია მენეჯერისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხიმგებლობის დაკისრება თავისი შინაარსით კორპორატიული სამართლის სფეროს მიკუთვნებული საკითხისთვის, ასევე, ორი ინსტანციის სასამართლოების განაჩენების დაუსაბუთებლობა როგორც ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის და მსჯავრდების, ასევე, სასჯელის ყველაზე მკაცრი სახის - თავისუფლების აღკვეთის გამოყენების ნაწილში კრიტიკული ტელეკომპანიის დამფუძნებლის, დირექტორისა და ტელეწამყვანის მიმართ, იმაზე მიანიშნებს, რომ მის მიმართ დაწყებული პროცესი არა მართლმსაჯულების ინტერესით, არამედ სხვა მიზნით იყო განპირობებული. საგულისხმოა, ნიკა გვარამიას მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებამდე მიმდინარე მოვლენები, ბრალდების წარდგენა ახალი ტელევიზიის შექმნის გეგმის გაჟღერების შემდეგ, კრიტიკული ტელემედია მაუწყებლობის წარმართვა, რაც ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან უშუალოდ ნიკა გვარამიას მიმართ უარყოფითი განცხადებებით ხასიათდება მთელი სასამართლო განხილვების პერიოდში და განაჩენის გამოტანის შემდეგაც. თუმცა, მთავარი რაც პოლიტიკურ მოტივის უპირატესობას ადასტურებს, სწორედ, სისხლის სამართლის საქმის გარემოებებია, კერძოდ, კანონიერების პრინციპის საწინააღმდეგოდ პირის დამნაშავედ ცნობა დაუსაბუთებელი გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე.

ეს საკითხი განსაკუთრებით საყურადღებოა ქვეყანაში არსებული გარემოს - ჟურნალისტების, მედია მფლობელებისა და მათი ოჯახის წევრების მიმართ სხვადასხვა უკანონო ქმედებების - ფონზე.

ამასთან, ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების განცხადებები ცალსახად ადასტურებს ნიკა გვარამიას თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსების, ტელეკომპანიის „მთავარი არხი“-ს საქმიანობისგან ჩამოშორებით დაინტერესებას.

შესაბამისად, წინამდებარე საქმეში კანონიერ მოტივთან შედარებით, პოლიტიკური მოტივი აშკარად უპირატესია.